



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



სასწავლო პლატფორმა Moodle

მასწავლებლის სახელმძღვანელო



eLearning



მასწავლებლის სახელმძღვანელო

სარჩევი

1. რეგისტრაცია	2
2. სასწავლო მასალების, ინსტრუქციებისა და სხვა რესურსების დამატება	3
3. აქტივობები	
3.1 ჟურნალი	5
3.2 არჩევანი	6
3.3 გაკვეთილი	8
3.4 გამოხმაურება	15
3.5 გარე ხელსაწყო	18
3.6 დავალება	20
3.7 ვიკი	24
3.8 ლექსიკონი	25
3.9 მიმოხილვა	27
3.10 მონაცემთა ბაზა	28
3.11 სემინარი	29
3.12 სკრომის პაკეტი	32
3.13 ტესტი	35
3.14 ფორუმი	40
3.15 ჩატი საუბარი	42
4. რესურსები	
4.1 წიგნი	44
4.2 IMS-ის შიგთავსის პაკეტი	45
4.3 URL	47
4.4 გვერდი	49
4.5 დირექტორია	50
4.6 სათაური	51
4.7 ფაილი	52
5. სტანდარტული ფუნქციები	53
6. შეკითხვის ტიპები	56



E- learning.tsu.ge

1. სისტემაში რეგისტრაცია:

ვებ-გვერდზე შესასვლელად ეწვიეთ ბმულს www.e-learning.tsu.ge.

სარეგისტრაციო ველი განთავსებულია გვერდის მარჯვენა ზედა კუთხეში.

გააქტიურეთ ლილაკი - „შექმენით ახალი ანგარიში“.

შეავსეთ ახალი ანგარიშის ფორმა თქვენი მონაცემებით (აუცილებელია მიუთითოთ თსუ-ს აქტიური ელექტრონული ფოსტა).

შეინახეთ შევსებული ინფორმაცია ლილაკით - „შექმენით ჩემი ახალი ანგარიში“.

რეგისტრაციისას მითითებულ ელ-ფოსტაზე მიიღებთ შეტყობინებას პლატფორმაზე გაწევრიანების შესახებ (გაითვალისწინეთ, რომ წერილი შეიძლება სპამში მოხვდეს).

2. პროფილი:

საკუთარ პროფილზე გადასასვლელად დააჭირეთ თქვენს სახელს ეკრანის მარჯვენა ზედა კუთხეში, ან მარცხენა ზედა მხრიდან აირჩიეთ „ჩემი გვერდები“.

ძირითადი მონაცემები (სახელი, ელ-ფოსტის მისამართი) შევსებულია, შეგძლიათ დაამატოთ დეტალური ინფორმაცია.

3. კურსებზე წვდომა:

კურსი ერთგვარ სასწავლო სივრცეს წარმოადგენს, სადაც პედაგოგი ტექსტურ, აუდიო თუ ვიდეო მასალას ათავსებს, საშუალება აქვს დაამატოს სხვადასხვა რესურსი და აქტივობა. შექმნას ფორუმი, აწარმოოს გამოკითხვა და სტატისტიკური ანალიზი, შეაფასოს სტუდენტი.

პორტალზე სასწავლო კურსის შესაქმნელად საჭიროა გამოაგზავნოთ მოთხოვნა სისტემის ადმინისტრატორთან შემდეგ ელექტრონულ მისამართზე e-learning@tsu.ge.

მიუთითეთ შემდეგი მონაცემები:

- ლექტორის სახელი და გვარი;
- ფაკულტეტი და მიმართულება;
- კურსის სრული დასახელება;
- კურსის მოკლე სახელი.

თქვენს მიერ შექმნილ ან დარეგისტრირებულ კურსებზე

ნავიგაცია

მთავარი

- ჩემი მთავარი გვერდი
- ▶ საიტის გვერდები
- ▶ ჩემი პროფილი
- ▶ ჩემი კურსები


სასწავლო მასალების, ინსტრუქციებისა და სხვა რესურსების დამატება

პედაგოგის მიერ კურსში ნებისმიერი ცვლილების შეტანა რედაქტირების პროცესითაა შესაძლებელი, ამისათვის გააქტიურეთ ღილაკი - „ჩართე რედაქტირება“.

ფაილის ატვირთვა

უშუალოდ კურსზე მუშაობის დაწყებამდე სასურველია ყველა საჭირო ფაილი მოათავსოთ სერვერზე, ანუ ატვირთოთ მუდღეზე.

ამისათვის უნდა შეხვიდეთ შემდეგ განყოფილებებში: ჩემი პროფილი, ჩემი პირადი ფაილები და შესაბამისი ღილაკების საშუალებით დაამატოთ საქაღალდე, ხოლო მასში მოათავსოთ ფაილები.



ასევე, ფაილის ასატვირთად მოსახერხებელი გზაა „წამოღება და ჩაგდების“ მეთოდი (**drag and drop**).

კომპიუტერში მონიშნეთ სასურველი ფაილი, დააკლიკეთ ფაილს და არ აუშვათ, მიიტანეთ კურსორი იმ თემასთან თუ საქაღალდესთან, სადაც გსურთ ფაილის ატვირთვა და აუშვით კურსორს, დაინახავთ, რომ იტვირთება ფაილი;

თუ რაიმე სახის პრობლემა შეგექმნებათ:

- დარწმუნდით, რომ იყენებთ განახლებულ ბრაუზერს:
Chrome 11, Firefox 4, Safari 5, IE 10;
- ფაილის მაქსიმალური ზომა არის 5 Mb;
- დარწმუნდით რომ ჩართული გაქვთ რედაქტირება (ჩართეთ რედაქტირება);

სხვა რესურსისა და აქტივობების დამატება

სისტემა დამატებითი აქტივობებისა და რესურსების მრავალფეროვან არჩევანს გვთავაზობს:

თემა 1

თემა 1-ის რეზიუმე




მუდლის ინსტრუქციები

რედაქტირება

+ დამატე აქტივობა ან რესურსი

გააქტიურეთ ღილაკი „+ დამატე აქტივობა ან რესურსი“,

აირჩიეთ სასურველი ველი და შეავსეთ შინაარსის მიხედვით.



● ჟურნალი

ჟურნალის მოდული მარტივი საშუალებაა საკითხის ჩამოსაყალიბებლად და კითხვის დასასმელად, რომელზეც მოკლე ტექსტურ პასუხს ითხოვთ. ტექსტი სტუდენტის მიერ მუდღშივე იკრიფება და რაიმე დამატებითი მასალის ატირთვა არ არის შესაძლებელი. ინფორმაცია გაზიარებულია მხოლოდ პედაგოგსა და სტუდენტს შორის, სხვას ამ ინფორმაციაზე წვდომა არ აქვს.

საშუალება გაქვთ სტუდენტი შეაფასოთ ნიშნით ან დაუწეროთ გამოხმაურება ნაშრომთან დაკავშირებით. ჟურნალის ჩანაწერების სრულყოფა მოსწავლეს მუდმივად შეუძლია, ასევე შეუძლია გამსწორებელს შეცვალოს თავისი შეფასება ან გამოხმაურება.

▶ ზოგადი

Journal name - დაასათაურეთ ჟურნალი.

Journal question - დასვით შეკითხვა ან ჩამოაყალიბით დავალების შინაარსი

Days available - განსაზღვრეთ რამდენი დღის განმავლობაში შესაძლებელია ჟურნალში ცვლილებების შეტანა.

▶ ნიშანი

Type (შეფასების ვარიანტები):

point - სტანდარტული ქულა

scale - შეგიძლიათ ინდივიდუალურად შემუშავებული სკალით შეაფასოთ სტუდენტი.

(მაგ : ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, დამაკმაყოფილებელი, საკმარისი, უარყოფითი.)

სკალის შემუშავება ადმინისტრატორის პრეროგატივაა, მასწავლებელს შეუძლია უკვე არსებული სკალის გამოყენება.

none - საერთოდ არ შეფასდეს.

scale - type-ში scale-ის მითითების შემთხვევაში , ჩამონათვალიდან აირჩიეთ სასურველი ტიპის სკალა.

maximum points (უმაღლესი შეფასება) - შეგიძლიათ შეაფასოთ 0-დან 100%-მდე. თუ აირჩევთ 0, ნამუშევრები არ შეფასდება, როგორც პრაქტიკუმის



რეჟიმში. ეს შეფასება სხვადასხვა შეიძლება იყოს გაკვეთილის სხვადასხვა ნაწილისათვის.

grade category - ფუნქცია აკონტროლებს gradebook-ის რა კატეგორიაში უნდა შევიდეს მოცემულ აქტივობაში მიღებული შეფასება.

▶ სტანდარტული ფუნქციები >>>

გვერდის შევსების შემდეგ, დააჭირეთ ღილაკს „ დაიმახსოვრე და დაუბრუნდი კურსს“. დაბრუნდებით კურსის მთავარ გვერდზე, სადაც შექმნილი აქტივობა კურსის სათანადო თემის რესურსების ჩამონათვალში ჟურნალის ინდიკაციის გასწვრივ გამოჩნდება.

● ? არჩევანი

არჩევნის მოდული საშუალებას გაძლევთ დასვით შეკითხვა და დააკონკრეტოთ მრავალჯერადი პასუხების არჩევანი, კურსის წევრებს კი ხმის მიცემისა და აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა აქვთ.

არჩევანის სახელი - დაასათაურეთ აქტივობა. ეს დასახელება კურსის სათანადო გრაფის რესურსების ჩამონათვალში არჩევანის ინდიკაციის გასწვრივ გამოჩნდება.

შესავალი ტექსტი - დასვით შეკითხვა.

აჩვენე აღწერა კურსის მთავარ გვერდზე - მონიშნეთ იმ შემთხვევაში თუ გსურთ შესავალი ტექსტი კურსის მთავარ გვერდზე ჩანდეს;

ასევე, აირჩიეთ ჩვენების ფორმა;

▶ Options



მიეცი არჩევნის განახლების უფლება- განსაზღვრეთ შესაძლებელია თუ არა ამ აქტივობაში მონაწილეობის მრავალჯერადად მიღება;

Allow more than one choice to be selected - შესაძლებელია თუ არა ერთდროულად რამოდენიმე პასუხის არჩევა.

პასუხებზე ლიმიტის დადება - შესაძლებლობა გაქვთ თითოეულ პასუხს დაუწესოთ ლიმიტი - მონაწილეთა ის მაქსიმალური რაოდენობა, რამდენსაც ამ პასუხის არჩევის საშუალება აქვს.

Option 1(2,3...) - მიუთითეთ პასუხები.

Limit 1- თუ „პასუხებზე ლიმიტის დადებაში“ აირჩიეული გქონდათ „დიახ“, განსაზღვრეთ ეს რიცხვი ამ კონკრეტული პასუხისათვის.

add 3 field(s) to form - შეგიძლიათ გაზარდოთ პასუხების რაოდენობა.

▶ ხელმისაწვდომობა

განსაზღვრეთ არჩევანის დაწყებისა და დამთავრების თარიღები(პერიოდი, როდესაც ხმის მიცემა შესაძლებელია).

შეზღუდეთ ამ დროისთვის პასუხი - მონიშვნის შემთხვევაში აქტივობა ხილვადი იქნება ხელმისაწვდომობის პერიოდამდე.

▶ შედეგები

მიუთითეთ მონაწილეებს ექნებათ თუ არა შედეგების ხილვის საშუალება და რა ეტაპზე.

გვერდის შევსების შემდეგ, დააჭირეთ ლილავს „ დაიმახსოვრე და დაუბრუნდი კურსს“. დაბრუნდებით კურსის მთავარ გვერდზე, სადაც შექმნილი აქტივობა კურსის სათანადო თემის რესურსების ჩამონათვალში არჩევანის ინდიკატორს გასწვრივ გამოჩნდება.

„არჩევანის“ მაგალითი



გამოცდის თარიღი

იხილეთ 0 პასუხი

რომელია თქვენთვის სასურველი თარიღი გამოცდისათვის?

- 20 ივნისი, ოთხშაბათი
- 22 ივნისი, პარასკევი
- 25 ივნისი, ორშაბათი

ჩაიწერე ჩემი არჩევანი

გაკვეთილი

გაკვეთილის მოდული კომპლექსური მეთოდოლოგიური ხელსაწყოა სტუდენტისათვის სასწავლო მასალის თანმიმდევრულ, ლოგიკურად დაყოფილ ფრაგმენტებად მისაწოდებლად.

ამ ფრაგმენტებს ცალკეული ვებ-გვერდის სახე აქვთ და როგორც წესი, ბოლოვდება შეკითხვით ან ამოცანით. სტუდენტი საწყის ტექსტს, აუდიო/ვიდეო მასალას ეცნობა, შემდეგ კი მოცემული კითხვებით მოწმდება მისი ცოდნა.

კითხვის თუ ამოცანის შესრულების შედეგი განაპირობებს მოსწავლისათვის ახალი ფრაგმენტის მიწოდებას ან უკან დაბრუნებას. თუ პასუხი სწორია, სტუდენტი გადადის შემდეგ ნაწილზე, არასწორის შემთხვევაში კი - უკუკავშირის საშუალებით იღებს განმარტებას შეცდომის შესახებ და საწყის ტექსტს დაუბრუნდება ან გადავა დამატებითი ინფორმაციის გვერდზე და თავიდან ცდის.

გაკვეთილი შესაძლებელია შედგეს ფრაგმენტების მიმდევრობითი განლაგებით ან შიგჯასმული განშტოებებით (ერთი, ან რამოდენიმე).

ზოგადი

სახელი - დაასათაურეთ გაკვეთილი. ეს დასახელება კურსის სათანადო თემის რესურსების ჩამონათვალში გაკვეთილის ინდიკაციის გასწვრივ გამოჩნდება.

აღწერა - გაკვეთილის ზოგადი აღწერა.



აჩვენე აღწერა კურსის მთავარ გვერდზე - მონიშნეთ იმ შემთხვევაში, თუ გსურთ გაკვეთილის აღწერა კურსის მთავარ გვერდზე ჩანდეს.

▶ შესახედაობა

შეავსეთ შემდეგი სტანდარტული ველები, ყოველ მათგანს ახლავს

ლილაკი , რომელიც დაწვრილებით ხსნის ველის დანიშნულებას.

პროგრესის ზოლი;

მიმდინარე ქულების ჩვენება;

აჩვენეთ მარცხენა მენიუში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შეფასება მეტია

ვიდრე;

სლაიდის ჩვენება;

პასუხების მაქსიმალური რაოდენობა;

ეკრანის ავტომატურ რეჟიმში დაყენებული გამობმარება;

ლინკი ქმედებაზე;

- ▶ **ხელმისაწვდომობა** - რა ვადებში შეუძლიათ სტუდენტებს გაკვეთილზე წვდომა.

დროის ლიმიტი (წუთებში) თუ დააყენებთ "დაშვება", მითითებული "დროის ლიმიტის" გადაცილების შემდეგ შესრულებული სამუშაო არ შეფასდება.

პაროლით დაცული გაკვეთილი - შესაძლებელია გაკვეთილზე წვდომა მხოლოდ პაროლის საშუალებით იყოს დასაშვები.

▶ Prerequisite lesson (გაკვეთილი-წინაპირობა)

პარამეტრი საშუალებას იძლევა ამ გაკვეთილზე წვდომა დამოკიდებული იყოს სტუდენტის მიერ იგივე კურსის სხვა გაკვეთილის შესრულების ხარისხზე.

დამოკიდებულება - განსაზღვრავს დამოკიდებულია თუ არა ამ გაკვეთილის გავლა მოსწავლის მიერ წინა გაკვეთილების შესრულების შედეგებზე, კერძოდ:

დახარჯული დრო - ის მინიმალური დრო, რომლის განმავლობაში მოსწავლის წინა გაკვეთილზე აქტიურობა უნდა იყოს დაფიქსირებული.

შესრულება - უნდა განისაზღვროს სავალდებულოა თუ არა წინა გაკვეთილში მოცემული სამუშაოების შესრულება მეცადინეობის გაგრძელებისათვის.



შეფასება უკეთესი ვიდრე - ის მინიმალური შეფასება, რაც უნდა მიიღოს მოსწავლემ გაკვეთილის გაგრძელებისათვის.

მოსწავლე გაკვეთილზე არ დაიშვება, სანამ მითითებული შედეგები არ იქნება მიღწეული.

► მსვლელობის კონტროლი

სტუდენტების მიმოხილვის ნებართვა - შეგიძლიათ დართოთ ნება მოსწავლეს, დაბრუნდეს უკან და შეცვალოს უკვე გაცემული პასუხი, ან აუკრძალოთ გაცემული პასუხის შეცვლა. შეგიძლიათ განსაზღვროთ, რამდენჯერ აქვს მოსწავლეს უკან დაბრუნების უფლება. ცხადია, შედგენილი შეკითხვების ტესტირების რეჟიმში, ან გაკვეთილში ნავიგაციის რეჟიმის შემოწმებისას ეს ოპცია არ მუშაობს.

განსაზღვრეთ შესაძლებელია თუ არა შეკითხვების ხელმეორედ დასმა, ცდების მაქსიმალური რაოდენობა.

სწორი პასუხის მომდევნო მოქმედება - შეგიძლიათ შეარჩიოთ სცენარი მოსწავლის მიერ შეკითხვაზე სწორი პასუხის გაცემის შემდეგი მოქმედებებისათვის.

ნორმალურ რეჟიმში სწორი პასუხების გაცემის შემდეგ გაიხსნება სცენარით განსაზღვრული შემდეგი გვერდი.

”ფლემ-ბარათის” რეჟიმში გაკვეთილის გვერდების თანმიმდევრობა შემთხვევითია, და გაკვეთილს წინასწარ განსაზღვრული დასაწყისი, ან დასასრული არ აქვს.

მოსწავლეს წარედგინება შემთხვევით ამორჩეული ფლემ-ბარათი, რომელზეც განთავსებულია შეკითხვა, ან რაიმე სხვა ხასიათის ინფორმაცია. აქაც შეიძლება ავირჩიოთ, სწორი პასუხის შემდეგ ვაჩვენოთ მხოლოდ ახალი ფლემ-ბარათები, თუ დავუშვათ მათი გამეორება.

აქვე შეიძლება გამოვიყენოთ რეჟიმი, როდესაც იგივე ბარათს ვაჩვენებთ, თუ მასზე მოცემულ შეკითხვაზე ადრე არასწორი პასუხი იყო გაცემული.

საჩვენებელი გვერდების რაოდენობა - ეს პარამეტრი აკონკრეტებს გაკვეთილში ნაჩვენები გვერდების რაოდენობს. მხოლოდ მისაღებია ისეთი გაკვეთილისთვის, სადაც ნაჩვენები გვერდები არეულადაა მითითებული (როცა " ქმედება სწორი პასუხის შემდეგ) დაყენებულია " აჩვენეთ უხილავი გვერდები" ან "აჩვენეთ უპასუხო გვერდები". თუ დაყენებულია 0-ზე, მაშინ ყველა გვერდი ნაჩვენებია.

პრაქტიკუმი - ამ დროს შედეგები არ ფასება და არ აღირიცხება.

ჩვეულებრივი შეფასება - თუ ჩართულია "დიახ", ძალაშია შეფასების ნაგულისხმევი კრიტერიუმი (1 ქულა სწორი პასუხისთვის; -1 ქულა არასწორი პასუხისათვის). თუ ჩართულია "არა", შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვა კრიტერიუმი.

დაშვებულია ხელახლა დამუშავება - როგორც წესი ვირჩევთ "არა". თუ აირჩევთ "დიახ" შეგიძლიათ გამოიყენოთ საუკეთესო შედეგის, ბოლო შედეგის, ან საშუალო შედეგის დაფიქსირება. ყველა შემთხვევაში კითხვების სტატისტიკური დახასიათებისათვის სისტემა მხედველობაში იღებს მხოლოდ პირველ შეფასებას.

ხელახლის დამუშავება - მასწავლებელი ირჩევს გამოიყენოს წინა მცდელობების გასაშუალებელი შეფასება, ბოლო თუ საუკეთესო.

შეკითხვების მინიმალური რაოდენობა - პარამეტრი აკონკრეტებს შეკითხვების მინიმალურ რაოდენობას, რომელიც მიღებული შეფასების განმსაზღვრელია. სტუდენტის მიერ გაცემულ პასუხთა რაოდენობა შედარდება ამ რიცხვთან, სრული თანხვედრის ან მეტი სწორი პასუხის შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს შეფასების 100%, ნაკლების შემთხვევაში 80% და ა.შ თანაფარდობასთან შესაბამისად.

თუკი იყენებთ „შიგთავსის გვერდს“ პარამეტრი დააყენეთ 0-ზე !!!

გვერდის შევსების შემდეგ, დააჭირეთ ლილავს „ დაიმახსოვრე და დაუბრუნდი კურსს“. დაბრუნდებით კურსის მთავარ გვერდზე, სადაც



შექმნილი გაკვეთილი კურსის სათანადო თემის რესურსების ჩამონათვალში გაკვეთილის ინდიკაციის გასწვრივ გამოჩნდება.

თემა 4



მუდლის ინსტრუქციები

რედაქტირება

სასწავლო პლატფორმა Moodle - ის ინსტრუქციები პედაგოგებისათვის

+ დაამატე აქტივობა ან რესურსი

მასზე დაჭერით კი შეძლებთ უშუალოდ გაკვეთილის სტრუქტურის აგებას.

- **კითხვების გადმოტანა** - თუ თქვენ მომზადებული გაქვთ კითხვები ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომლიმე ფორმატით, შეგიძლიათ მათი პირდაპირი გადმოტანაც.

კითხვების გადმოტანა

ფაილის ფორმატი*

Gift format	▼
Aiken format	
Blackboard	
Embedded answers (Cloze)	
Examview	
Gift format	
Missing word format	
Moodle XML format	
WebCT format	

- **კლასტერის დამატება** -კლასტერი შეკითხვის გვერდებს თითოეულ სტუდენტს ავტომატურად არეული თანმიმდევრობით სთავაზობს. გამოგადგებათ იმ შემთხვევაში, თუ არჩეული გქონდათ „არ გამოიყენოთ კითხვათა ერთი კონკრეტული თანმიმდევრობა“.

• შიგთავსის გვერდი (content page)

შიგთავსის გვერდზე განთავსებულია მასალა შეკითხვების გარეშე. ახალ გვერდზე გადასვლისათვის არ არის საჭირო კითხვის ან ამოცანის გადაწყვეტა და შეფასების მიღება, გვერდის ბოლოს განთავსებულ ღილაკებზე დაჭერით გადახვალთ შემდეგ გვერდზე.

გვერდის სათაური- მიუთითეთ გვერდის სათაური.

გვერდის შინაარსი - განათავსეთ მასალა.

შეიქმნება

აქ ჩაწერილი სიტყვა/ფრაზა გამოჩნდება გვერდის ბოლოს დილაკის სახით (1), რომელზე დაჭერაც განაპირობებს გაკვეთილის შემდეგ ნაწილზე გადასვლას.

გადახტომა - განსაზღვრეთ რომელი იქნება ზემოთ აღნიშნული გაკვეთილის შემდეგი ნაწილი: იგივე/წინა/შემდეგი გვერდი, გაკვეთილის დასასრული და ა.შ. ჩამონათვალში იქნება უკვე თქვენს მიერ შექმნილი გვერდების სათაურებიც.

"მუდლის ინსტრუქციები" ?

განხილვა რედაქტირება ანგარიშები Grade essays

არჩევანი

არჩევნის მოდული საშუალებას გაძლევთ დასვათ შეკითხვა და დააკონკრეტოთ მრავალჯერადი პასუხების არჩევანი, კურსის წევრებს ხმის მიცემისა და აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა აქვთ.

შემდეგ გვერდზე გადასვლა წინა გვერდზე დაბრუნება გაკვეთილის დასასრული (1)

შეიქმნება რაოდენობა ემთხვევა გაკვეთილის შექმნის დაწყებისას თქვენს მიერ მითითებულ "პასუხების მაქსიმალურ რაოდენობას".

შეკითხვის გვერდი

მასალისა და კითხვის შემცველი გვერდის დასამატებლად (3) ან (4) - ველში აირჩიეთ „დაუმატეთ შეკითხვის გვერდი აქ“.

"მუდლის ინსტრუქციები" ?

▼ Create a question page

შარჩიეთ შეკითხვის ტიპი

მრავალჯერადი არჩევანი ▼

დაუმატე შეკითხვის გვერდი

გააუქმე

შეარჩიეთ სასურველი შეკითხვის ტიპი;
შეკითხვის გვერდზე მიუთითეთ გვერდის სათაური;

გვერდის შინაარსი - სურვილისამებრ განათავსეთ ინფორმაციული მასალა (ატვირთეთ ფაილი, სურათი, აუდიო ან ვიდეო მასალა) და დასვით შეკითხვა თუ ამოცანა მიწოდებული თემის ირგვლივ.

*** იხილეთ შეკითხვის ტიპები ...**

"მუდლის ინსტრუქციები" ©

გამხილვა რედაქტირება ანგარიშები Grade essays

კოლაფსი გაშლილი (1)

გვერდის სათაური	გვერდის ტიპი	გადაბტომები	ქმედებები
გამომხატურება	ქვედანაყოფის ცხრილი	შემდეგი გვერდი (2)	დაამატეთ ახალი გვერდი...
გამომხატურება	მრავარგვერდი არჩევანი	შემდეგი გვერდი წინა გვერდი წინა გვერდი	დაამატეთ ახალი გვერდი...
არჩევანი	ქვედანაყოფის ცხრილი	შემდეგი გვერდი წინა გვერდი გაკვეთილის დასასრული	დაამატეთ ახალი გვერდი...
გაკვეთილი	ქვედანაყოფის ცხრილი	შემდეგი გვერდი გაკვეთილის დასასრული წინა გვერდი	დაამატეთ ახალი გვერდი...
ლექსიკონი	ქვედანაყოფის ცხრილი	წინა გვერდი გაკვეთილის დასასრული	დაამატეთ ახალი გვერდი... (3) დაამატეთ ახალი გვერდი... დაამატეთ ქვედანაყოფის დასასრული დაამატეთ ლექსიკონის დასასრული დაამატეთ კლასტერი დაამატეთ შიგთავსის გვერდი შეკითხვა

(1) „კოლაფსი“ და „გაშლილი“ -თი შეგიძლიათ არეგულიროთ თქვენი შექმნილი გვერდების ხედვის რეჟიმი.

რეჟიმ „ გაშლილი“ - ში თქვენი შექმნილი გაკვეთილის ყველა დეტალის ხილვა შეგიძლიათ.

(2) I ლილაკი - მოძრაობის ლილაკი, გვერდების თანმიმდევრობის შეცვლის საშუალებას გაძლევთ;

მეორე - რედაქტირება;

მესამე - ხედვის ლილაკი, როგორ ხედავს გვერდს სტუდენტი;

მეოთხე - წაშლის ლილაკი.

(3) დაამატეთ ახალი გვერდი.



გამოხმაურება

მოდულის საშუალებით შესაძლებელია გამოკითხვის კონფიგურირება, რაიმე თემის ირგვლივ სტუდენტთაგან გამოხმაურების მისაღებად.

მაგ.: „როდისაა ყველაზე ოპტიმალური დრო ტესტირებისათვის“.

მასწავლებელს თითოეული სტუდენტის შედეგთან აქვს წვდომა, ასევე შესაძლებელია აჩვენოთ სტუდენტებს გამოკითხვის შედეგები.

გამოკითხვაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია, არ ფასდება ქულით.

► ზოგადი

სახელი - დაასათაურეთ გამოკითხვა. ეს დასახელება კურსის სათანადო თემის რესურსების ჩამონათვალში გამოკითხვის ინდიკაციის გასწვრივ გამოჩნდება.

აღწერა - გამოხმაურების ზოგადი აღწერა.

აჩვენე აღწერა კურსის მთავარ გვერდზე - მონიშნეთ იმ შემთხვევაში, თუ გსურთ გამოკითხვის აღწერა კურსის მთავარ გვერდზე ჩანდეს.

► ხელმისაწვდომობა

განსაზღვრეთ გამოკითხვის დაწყებისა და დამთავრების თარიღები (პერიოდი, როდესაც აქტივობაში მონაწილეობა შესაძლებელია).

► Question and submission settings



ჩაწერეთ მომხმარებლის სახელი - შეგიძლიათ გამოკითხვაში მონაწილეობა ანონიმური გახადოთ.

მრავალჯერადი წარდგინებები - ანონიმურობის შემთხვევაში, განსაზღვრეთ შეუძლიათ თუ არა მომხმარებლებს წარადგინონ გამოხმაურება არალიმიტირებული რაოდენობით.

გაგზავნეთ ელექტრონულად შეტყობინება - ჩართვის შემთხვევაში („დიახ“) პედაგოგი შეტყობინებას მიიღებს ყოველი ახალი გამოხმაურების შესახებ.

ავტომატურ რეჟიმში დაყენებული რიცხვები - ჩართავს ან გამორთავს ავტომატურ რეჟიმში დაყენებულ რიცხვებს თითო შეკითხვაზე.

▶ წარდგენის შემდეგ

აჩვენე ანალიზის გვერდი ყველა წარდგინების შემდეგ - განსაზღვრეთ მონაწილეებსაც აქვთ შედეგების ხილვის საშუალება („დიახ“) თუ მხოლოდ პედაგოგს („არა“).

გვერდი წარდგენის შემდეგ - შეგიძლიათ შექმნათ პერსონალური მესიჯი, რომელსაც სტუდენტები გამოხმაურებაში მონაწილეობის შემდეგ მიიღებენ.

URL-გაგრძელების ღილაკზე - შეგიძლიათ განათავსოთ სხვა აქტივობისა თუ ვებ-გვერდის ბმული, რომელზე გადასვლაც რეკომენდირებულია გამოკითხვაში მონაწილეობის შემდეგ.

შეინახეთ ინფორმაცია „დაიმახსოვრე და დაუბრუნდი კურსს“ ღილაკის საშუალებით. დაბრუნდებით კურსის მთავარ გვერდზე, სადაც შექმნილი გამოხმაურება კურსის სათანადო თემის რესურსების ჩამონათვალში გამოხმაურების გასწვრივ გამოჩნდება.

⊕ თემა 6

⚙️ კურსის შეფასება

რედაქტირება

რამდენად კმაყოფილი ხართ კურსით?

+ დაამატე აქტივობა ან რესურსი

მასზე დაჭერით კი შეძლებთ უშუალოდ გამოკითხვის შედგენას.

გააქტიურეთ ღილაკი „შეკითხვების რედაქტირება“, ჩანართ „შინაარსი“-დან კი აირჩიეთ სასურველი ტიპი და შეადგინეთ კითხვები.

▶ შინაარსი

გაითვალისწინეთ :

გვერდის გამყოფი - მრავალი კითხვის არსებობის შემთხვევაში, გვერდის გამყოფის საშუალებით შესაძლებელია გამოიყოს რამოდენიმე გვერდი.

ეტიკეტი - საშუალება გაქვთ დამატებითი განმარტებებისათვის დაამატოთ ტექსტი კითხვებს შორის.

დამოკიდებული კითხვები - შესაძლებელია კითხვაზე გაცემულმა პასუხმა შემდგომი სპეციფიკური კითხვის დასმა განაპირობოს. მაგალითად კითხვაზე: გაქვთ თუ არა სამუშაო გამოცდილება? პასუხის „დიახ“ შემთხვევაში, შემდეგ კითხვას მისი დასახელებასა და აღწერას წარმოადგენდეს, ხოლო უარყოფითის შემთხვევაში სხვა დამოუკიდებელი კითხვა დაისვას.

შეადგინეთ საწყისი კითხვა და დაასათაურეთ გრაფაში - ეტიკეტი;

დაამატეთ გვერდის გამყოფი;

დაამატეთ შეკითხვა, რომელზეც გადავა მომხმარებელი რომელიმე სპეციფიკური პასუხის შემთხვევაში, მაგ.:“დიახ“.

დამოკიდებულ ელემენტში - აირჩიეთ ის ეტიკეტი რომელიც მიუთითეთ წინა შეკითხვაში;

დამოკიდებულ მნიშვნელობაში - შეიყვანეთ პასუხი რომლის არჩევაც განაპირობებს ამ კითხვაზე გადასვლას.

გარე ხელსაწყო

მოდულის საშუალებით მომხმარებლებს სხვა ვებგვერდსა თუ პლატფორმაზე, სასწავლო წყაროსა და ქმედებებზე წვდომა/ინტერაქტიულად ჩართვის შესაძლებლობა ექნებათ.

► ზოგადი

ქმედების სახელწოდება - მიუთითეთ სასურველი დასახლება.

გარე ხელსაწყოს ტიპი - ხელსაწყოს კონფიგურაციის მთავარი მიზანი უსაფრთხო კომუნიკაციის დამყარებაა მუდლსა და ხელსაწყოს პროვაიდერს შორის.

შესაძლებელია როგორც კონფიგურაციების ავტომატური რეჟიმის დაყენება, ასევე ხელსაწყოს მიერ უზრუნველყოფილი დამატებითი სერვისების გამოყენება.

ავტომატური, დაფუძნებული გაშვების URL-ზე-ეს პარამეტრი გამოიყენება თითქმის ყველა შემთხვევაში. მუდლი შეარჩევს ყველაზე მეტად შესაფერის ხელსაწყოს კონფიგურაციას „დაფუძნებულს გაშვების URL-ზე“.

ადმინისტრატორისა კურსის მიერ კონფიგურირებული ხელსაწყოები გამოყენებული იქნებიან.

როდესაც შეიყვანთ „გაშვების URL“-ს (ვებ-გვერდის მისამართს, სასურველ საიტთან დასაკავშირებლად) მუდლი უზრუნველყოფს გამოხმაურებას ცნობს თუ არა მას. უარყოფის შემთხვევაში, შესაძლოა ხელსაწყოს კონფიგურაციის დეტალების ხელით შეყვანა დაგჭირდეთ.

გაშვების URL - სასურველი ვებ გვერდის მისამართი.

გაშვების კონტეინერი - როგორი სახითა გამოჩნდება გარე ხელსაწყო მუდლის კურსზე.

▶ პრივატულობა

გააზიარეთ გამშვების სახელი ხელსაწყოსთნ

გააზიარეთ გამშვების ელ-მისამართი ხელსაწყოსტან

შეფასების მიღება ხელსაწყოდან

სპეციფიკური ხელსაწყოს ტიპი - სპეციფიკური ხელსაწყოს ტიპის შერჩევით თქვენ შეგიძლიათ აიძულოთ მუდლი გამოიყენოს ხელსაწყოს კონფიგურაცია, როცა ამყარებს კომუნიკაციას გარეშე ხელსაწყოს პროვაიდერთან. თუკი გაშვების URL არ ჩანს რომ ეკუთვნის ხელსაწყოს პროვაიდერს, გამოჩნდება გაფრთხილება. ზოგორთ შემთხვევაში აუცილებელი არაა შეიყვანოთ გაშვების URL მაშინ როცა უზრუნველყოფთ სპეციფიკურ ხელსაწყოს ტიპს თუკი გაშვებული არაა კერძო წყაროდან).

ინდივიდუალური კონფიგურაცია -რათა დაყენდეს ინდივიდუალური ხელსაწყოს კონფიგურაცია მხოლოდ ამ შემთხვევისთვის, აჩვენოს პროგრესული ოპციები, და შეიყვანოს ინდივიდუალური გასაღები და გაიზიაროთ საიდუმლოებები. თუკი არ გაგაჩნიათ ინდივიდუალური გასაღები და გაზიარების საიდუმლოება, შესაძლოა არ გქონდეთ უფლება მოითხოვოთ ხელსაწყოს პროვაიდერსიგან ისინი. ყველა ხელსაწყო არ მოითხოვს ინდივიდუალურ გასაღებს და გაზიარებულ საიდუმლოებას, რომელ შემთხვევაშიც ველები შესაძლოა იყოს ცარიელი.

ხელსაწყოს ტიპის რედაქტირება. სამი ხატულაა ხელმისაწვდომი გარე ხელსაწყოს ტიპის ჩამოშლადი სიის შემდეგ:

* დამატება- ქმნის კურსის დონის ხელსაწყოს კონფიგურაციას. ყველა გარე ხელსაწყოს მაგალითმა ამ კურსზე შესაძლოა გამოიყენოს ხელსაწყოს კონფიგურაცია.

*რედაქტირება-შეარჩიეთ კურსის დონის ხელსაწყოს ტიპი ჩამოშლადი სიიდან, შემდეგ დააწკაპუნეთ ამ ხატულაზე. ხელსაწყოს კონფირუგაციის დეტალები შესაძლოა იყოს რედაქტირებული.

* წაშლა -მოაშორეთ შერჩეული კურსის დონის ხელსაწყოს ტიპი.



დავალება

დავალების აქტივობის მეშვეობით, სტუდენტს საშუალება აქვს ატვირთოს მიცემული დავალება, მიიღოს შეფასება და კომენტარები პროფესორისგან.

ზოგადი

სახელი - დაასათაურეთ დავალება. ეს დასახელება კურსის სათანადო თემის რესურსების ჩამონათვალში დავალების ინდიკაციის გასწვრივ გამოჩნდება.

აღწერა - დავალების ზოგადი აღწერა.

აჩვენე აღწერა კურსის მთავარ გვერდზე - მონიშნეთ იმ შემთხვევაში, თუ გსურთ დავალების აღწერა კურსის მთავარ გვერდზე ჩანდეს.

„Additional files“ - შეძლებთ დავალების შაბლონის თუ სხვა ნებისმიერი დამატებითი ფაილის ატვირთვას.

Availability

Allow submissions from - დავალების ჩაბარება შესაძლებელია ამ ვადიდან.

Due date - ამ თარიღის შემდგომ ჩაბარებული დავალებები აღინიშნება დაგვიანებულად.

Cut-off date - ამ ვადიდან შესრულებული დავალებები აღარ მიიღება.



▶ Submission types

Submission types

Online text [?] ფაილის ატვირთვა [?]

Word limit [?]

დაშვება

Maximum number of uploaded files [?]

Maximum submission size [?]

Online text - სტუდენტი პასუხის აკრეფვას პირდაპირ მუდღში შეძლებს. ამ შემთხვევაში შეგიძლიათ სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა - **Word limit** მიუთითოთ.

ფაილის ატვირთვის არჩევის შემთხვევაში შეგიძლიათ განსაზღვროთ ატვირთულ ფაილთა მაქსიმალური რაოდენობა და ზომა - **Maximum number of uploaded file, Maximum submission size**.

▶ FEEDBACK TYPES

Feedback comments - შემფასებელს შეუძლია გამოხმაურება, კომენტარი დაუწეროს თითოეულ წარდგენილ დავალებას.

Offline grading worksheet - შემფასებელს წარდგენილი დავალების გადმოწერა, შეფასება-დამუშავება და კვლავ ატვირთვა შეუძლია.

Feedback files - შემფასებელს შეუძლია ატვირთოს ფაილი: შემოწმებული დავალება კომენტარებით, დოკუმენტები.

Comment inline - შესაძლებელია როგორც კომენტარის ჩაწერა ორიგინალ ტექსტში, ასევე მისი რედქტირება.

▶ Submission settings



Require students click submit button – „არა“-ს შემთხვევაში, სტუდენტს მუდმივად აქვს ატივითული დავალების კორექტირების საშუალება. ხოლო თუ აირჩევთ „დიახ, სტუდენტმა დავალების საბოლოოდ ჩასაბარებლად უნდა გააქტიუროს შესაბამისი ღილაკი. ამის შემდეგ სტუდენტს დავალების რედაქტირების საშუალება არ აქვს.

► **Require that students accept the Submission statement**

სტუდენტს მოეთხოვება დაადასტუროს, რომ აღნიშნული ნაშრომი მას ეკუთვნის.

Attempts reopened

თუ **Require students click submit button**- ში, არჩეული გაქვთ „დიახ“, შეგიძლიათ განსაზღვროთ სტუდენტათვის დავალების განმეორებითი ჩაბარების შესაძლებლობა.

Never - დავალების განმეორებითი ჩაბარება დაუშვებელია.

Manually - ამ რეჟიმის პერიოდში სტუდენტები შეძლებენ დავალების ხელახლა ჩაბარებას.

Automatically until pass - დავალების განმეორებითი ჩაბარება შესაძლებელია დამაკმაყოფილებელი ნიშნის მიღებამდე.

Maximum attempts

დავალების ხელახალი ჩაბარების დაშვების შემთხვევაში, შეგიძლიათ ცდათა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვროთ.

► **GROUPS SUBMISSION SETTINGS**

Students submit in groups - დავალებაზე მუშაობა დასაშვებია ჯგუფურად. ჯგუფის შეფასება შესაძლებელია როგორც საერთო ნიშნით, ასევე ინდივიდუალურად.

Require all group members submit

თუ მონიშნული გქონდათ "Require students click submit button", განსაზღვრეთ დავალების საბოლოო ჩაბარებისათვის საჭიროა თუ არა ჯგუფის ყველა წევრის მიერ submit ღილაკის გააქტიურება.

Grouping for student groups

არცერთი - ნიშნების ფურცელში გამოჩნდება ჯგუფების სახელები ხოლო სტუდენტებს რომელიც არცერთ ჯგუფს არ ეკუთვნოდა მოათავსებს ერთ საერთო ჯგუფში

► ნიშანი

გარდა სტანდარტული ველებისა შეგიძლიათ ისარგებლოთ ფუნქციებით:

Blind marking - დავალების ავტორთა ვინაობა ანონიმურია.

Use marking workflow - შესაძლებელია ნაშრომთა შემოწმება რამოდენიმე ეტაპად მოხდეს, თუმცა სტუდენტებს ნიშნები ერთდროულად, თქვენი მითითების შემდეგ გამოუჩნდებათ.

Use marking allocation - თუ მონიშნული გაქვთ წინა პუნქტი და მოცემულ დავალებას რამოდენიმე მასწავლებელი ასწორებს, შესაძლებელია განისაზღვროს კონკრეტულ სტუდენტის ნაშრომს რომელი გამსწორებელი გაასწორებს.

გვერდის შევსების შემდეგ, დააჭირეთ ღილაკს „ დაიმახსოვრე და დაუბრუნდი კურსს“. დაბრუნდებით კურსის მთავარ გვერდზე, სადაც შექმნილი აქტივობა კურსის სათანადო თემის რესურსების ჩამონათვალში დავალების ინდიკაციის გასწვრივ გამოჩნდება.

• ვიკი

მოდულის საშუალებით კურსის მონაწილეებს ვებ-გვერდისა და დოკუმენტების კოლექციის შექმნა და რედაქტირება შეუძლიათ. ვიკიზე მუშაობა შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. ვიკი კარგი საშუალებაა კოლაბორაციული პროექტებისათვის, ჯგუფურად კურსის სალექციო ჩანაწერებისა და სახელმძღვანელოების შედგენისათვის.

ზოგადად ვიკი-სტატიები წინასწარ განხილვას არ ექვემდებარება და ინტერნეტში უმეტესი ვიკი გვერდები ღიაა გაწვევიანებული მომხმარებლების მიერ მასში ინფორმაციის განთავსებისა ან მოდიფიცირებისათვის. თუმცა საიტის მოდერატორს უფლება აქვს ზოგიერთი სტატია დაბლოკოს ან ამოიღოს. Moodle -ის Wiki -დან წაშლილი სტატია ყოველთვის შეიძლება იქნას აღდგენილი.

სახელი - დაასათაურეთ აქტივობა. ეს სახელი გამოჩნდება კურსის სათანადო თემის რესურსების ჩამონათვალში ვიკის ინდიკაციის გასწვრივ.

აღწერა - მოდულის ზოგადი აღწერა.

აჩვენე აღწერა კურსის მთავარ გვერდზე - მონიშნეთ იმ შემთხვევაში, თუ გსურთ მოდულის აღწერა კურსის მთავარ გვერდზე ჩანდეს.

ვიკის რეჟიმი - აირჩიეთ მუშაობის კოლაბორატიული ან ინდივიდუალური რეჟიმი.

შეიყვანეთ პირველი გვერდის სახელი.

ნაგულისხმევი ფორმატი - აირჩიეთ რა ფორმატით გსურთ ვიკის გვერდების დარედაქტირება



- HTML - HTML რედაქტორი ჩართულია.
- კრეოლი - ზოგადი ვიკის კორექტურის ენა რომლისთვისაც პატარა ხელსაწყოს რიგი არის ჩართული.
- Nwiki - Mediawiki - კორექტურის ენის მსგავსი, რომელიც Nwiki -ის მოდულში გამოიყენება.

ფორმატის იძულება - სტუდენტს მუშაობის მეთოდისა და ფორმატის არჩევის საშუალება არ აქვს, იმუშავებს თქვენს მიერ მითითებული ფორმატით.

გვერდის შვესების შემდეგ, დააჭირეთ ღილაკს „ დაიმახსოვრე და დაუბრუნდი კურსს“. დაბრუნდებით კურსის მთავარ გვერდზე, სადაც შექმნილი აქტივობა კურსის სათანადო თემის რესურსების ჩამონათვალში ვიკის ინდიკაციის გასწვრივ გამოჩნდება.

ლექსიკონი

ლექსიკონი კურსთან დაკავშირებული სპეციფიკური ტერმინების საცავია. მისი ძირითადი ფორმით ამატებს სიტყვებს კურსზე, სადაც სტუდენტებს რთულ ან საგანთან დაკავშირებულ ტერმინთა სწრაფი განმარტებების მიღება შეუძლიათ. ენის შემსწავლელი კურსებისთვის ეს რესურსი შეიძლება უფრო ფართოდ გამოიყენებოდეს.

ლექსიკონი საშუალებას იძლევა შექმნათ კატეგორიები, დააკავშიროთ სხვა საკვანძო სიტყვები, მიანიჭოთ ტერმინს ავტომატური ბმული და სხვა. მუდლის კურსი რამოდენიმე ლექსიკონის შექმნის საშუალებას იძლევა - ერთი ძირითადი და ერთი ან მეტი მასთან დაკავშირებული.



შეგიძლიათ სტუდენტებს ნება დართოთ დაამატონ სიტყვარს შენატანები. მაგ. მისცეთ უფლება, სწავლის პერიოდში დაასახელონ რთული ტერმინები და მათი სავარაუდო ახსნა - ეს შენატანები კი მერე შეიტანოთ მთლიან ლექსიკონში და ისიც მომართოთ - აჩვენოთ თუ არა კონკრეტული ტერმინის ავტორი.

ლექსიკონის შენატანები შეიძლება ავტომატურად მიეზას კურსის მასალას (დაწკაპუნებადი ბმულების სახით, რომელიც ამომხტარ ფანჯარაში ამოვა) და შეგიძლიათ გადაწყვიტოთ თითოეული შენატანის ბმულის შექმნის შესახებ. ფრთხილად იყავით ტერმინების განმარტებებში,

ბმულების შექმნის შემთხვევაში შეიძლება ერთ ტერმინს რამდენიმე განმარტება ჰქონდეს და ეს უნდა გაითვალისწინოთ.

ტექსტური რედაქტორი საშუალებას იძლევა შექმნათ ენციკლოპედიური შენატანები (სურათებით, ბმულებით შიდა თუ გარე რესურსებზე). ასევე შესაძლებელია გლოსარიუმის გაკეთება, რომელიც მონაცემთა ბაზად გამოდგება ანუ მისამარებელი ფაილის საშუალებით სტუდენტები შეძლებენ მასში ფაილების ატვირთვას ან სხვისი ფაილების ჩამოტვირთვას.

მუდლის ლექსიკონი საშუალებას იძლევა კომენტირდეს თითოეული შენატანი, ასევე განისაზღვროს კონკრეტული ტერმინის რეიტინგი.

ლექსიკონის აქტივობა შედგება სტანდარტული ველებისგან,

ყოველ ველს - ახლავს ღილაკი  რომელიც ხსნის ველის დანიშნულებას.

„ დაიმახსოვრე და დაუბრუნდი კურსს“ ღილაკის გააქტიურება დაგაბრუნებთ კურსის მთავარ გვერდზე, სადაც შესაბამის გრაფაში გამოჩნდება თქვენს მიერ შექმნილი ლექსიკონი. დასათაურებაზე დაჭერით გადახვალთ გვერდზე, სადაც საშუალება გაქვთ დაამატოთ ლექსიკონის ახალი ერთეული (1) ან დაათვალიეროთ უკვე არსებული მარაგი სხვადასხვა მეთოდით (2).



ლექსიკონი

კურსის მირითადი ლექსიკონი პრინტერთან-დამეგობრებული ვერსია

მეზნა მოიმიეთ სრული ტექსტი

დაამატეთ ახალი შეყვანის ველი (1)

დაათვალიერეთ ანბანურად დაათვალიერება კატეგორიების მიხედვით დაათვალიერეთ თარიღის მიხედვით (2)

დაათვალიერება ავტორის მიხედვით

დაათვალიერეთ ლექსიკონი ამ ინდექსის გამოყენებით.

განსაკუთრებული | ა | ბ | გ | დ | ე | ვ | ზ | თ | ი | კ | ლ | მ | ნ | ო | პ | ჟ | რ | ს | ტ | უ | ფ | ქ | დ | მ | გ | მ | წ | ჭ | ხ | ჯ | პ | ა | ბ | ც | დ |
 E | F | G | H | I | J | K | L | M | N | O | P | Q | R | S | T | U | V | W | X | Y | Z | **ველი**

ბ

ბიხექტრისა

სხივი, რომლის სათავე მოცემული კუთხის წეროს ემთხვევა და ყოფს ამ კუთხეს ორ ტოლ ნაწილად



მიმოხილვა

მიმოხილვის საშუალებით შეგიძლიათ აწარმოოთ გამოკითხვა. გამოხმაურების მოდულისგან განსხვავებით, თქვენ არ სვამთ საკითხს სტუდენტთაგან გამოხმაურების მისაღებად. მიმოხილვის 5 ტიპიდან თითოეული უკვე შედგენილი, ღია ან დახურული ტიპის შეკითხვებისაგან შედგება.

სახელი - დაასათაურეთ მიმოხილვა.

მიმოხილვის ტიპი

- 1) ATTLs - ფიქრსა და სწავლებისადმი დამოკიდებულება

მიმოხილვა იმის განსასაზღვრავად, თუ რამდენად არის სტუდენტი "დაკავშირებული მოსწავლე" - თვლის სწავლას უფრო სასიამოვნოსა და მეტად კოოპერატიულს, სხვის იდეებზე ორიენტირებულობის ტენდენციით.

"გამოყოფილი მოსწავლე" - უფრო კრიტიკულად და არგუმენტირებულად უდგება სწავლის საკითხს

2) კრიტიკული შემთხვევის მიმოხილვა

